

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა  
იძულებით გადაადგილებულ პირებთან – დევნილებთან დაკავშირებულ საქმეებზე  
(2014-2020 წლები)

ნაშრომი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის  
ცენტრის მიერ

შემდგენელი

**ლიანა ლომიძე**

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და  
განზოგადების განყოფილების მთავარი კონსულტანტი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ანალიტიკური განყოფილება

თბილისი

2020

## შესავალი

XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები წარმოიშვა, რაც გამოვლინდა შეიარაღებული კონფლიქტებით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში. კონფლიქტურ რეგიონებში სეპარატისტულმა ძალებმა რუსეთის მხარდაჭერით მოახერხეს პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება. ცხინვალსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიაზე დევნილთა პირველი ნაკადი გაჩნდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ იმატა და შესაბამისად, მათი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო ძალისხმევაც გაიზარდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის მონაცემებით, საქართველოში ამჟამად რეგისტრირებულია 90614 დევნილი ოჯახი, ჯამში 286811 იძულებით გადაადგილებული პირი.<sup>1</sup>

იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივი მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ დევნილებთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საზოგადოების ინტერესის საგანს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული დევნილი მოსახლეობის პრობლემატიკა ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელზე მრავალი წელია მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ. მნიშვნელოვანია, მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

---

<sup>1</sup> სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებგვერდი, <https://idp.gov.ge/idps/>

ვეფრობთ, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქმეებზე წარმოშობილი დავების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და განხორციელება საინტერესო იქნება არამხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ადმინისტრაციული ორგანოებისა და ზოგადად, იმ პირებისთვის, რომლებიც დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობით არიან დაინტერესებულნი, ნებისმიერი მოქალაქისთვის.

### **მეთოდოლოგია და კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანი საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ დევნილებთან დაკავშირებით პრაქტიკის შესწავლა და მნიშვნელოვანი განმარტებების ანალიზია. კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, შესწავლილი და გაანალიზებულია 2014-2020 წლების უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკა.

იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების მოძიება განხორციელდა გადაწყვეტილებათა ელექტრონული საძიებო პროგრამის (<http://prg.supremecourt.ge>) მეშვეობით.

კვლევის მიზნებისთვის სულ გაანალიზდა 182 გადაწყვეტილება/განჩინება. არსებითად განხილული საქმეებიდან გადაწყვეტილება გამოტანილი იყო 9 საქმეზე, ხოლო განჩინება – 15, დაუშვებლად ცნობილი – 158 საკასაციო საჩივარი.

### **მოკლე მიმოხილვა დევნილების შესახებ**

იძულებით გადაადგილებული პირები – ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირი – (Internally Displaced Persons-IDPs) მოქალაქე, რომელიც იძულებულია დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტის, სამოქალაქო დაპირისპირების, ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევის,

ბუნებრივი ან ანთროპოგენური ხასიათის უბედურების დროს. ასეთ ვითარებაში ის არ გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს, რომელიც საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.

პირველად ეს ტერმინი გაჩნდა 1953 წლის 29 ოქტომბრის ევროპის მიგრაციის მთავრობათაშორისი კომიტეტის კონსტიტუციაში (The Constitution of 19 October 1953 of the Intergovernmental Committee for European Migration),<sup>2</sup> ხოლო 1975 წლის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებმა ეს ხარვეზი შეავსეს. ამავე წელს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა სთხოვა აღმასრულებელ კომიტეტს ერთმანეთისაგან განესხვავებინა „ლტოლვილები“ და „ადგილმონაცვლე პირები“ (იგივეა „იძულებით გადაადგილებული პირები“, „ღევნილები“).

ჩამოყალიბდა აზრი, რომ ლტოლვილები არიან პირები, რომლებმაც გადაკვეთეს თავიანთი ქვეყნის საზღვრები, ხოლო ადგილმონაცვლე პირები რჩებიან ქვეყნის საზღვრებში. ადგილმონაცვლე პირები არიან საკუთარი ქვეყნის ფარგლებში, საკუთარი კარ-მიდამოდან ომის, რევოლუციის, შიმშილის ან სტიქიური უბედურების მიზეზით ადგილმონაცვლე პირი.

1998 წლის „სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ“ ტერმინი განმარტებულია,<sup>3</sup> როგორც პიროვნებები ან პიროვნებათა ჯგუფები, რომლებიც იძულებულები გახდნენ გაქცეულიყვნენ, მიეტოვებინათ საკუთარი სახლები ან მუდმივი საცხოვრებლები, პირველ ყოვლისა, იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ გამხდარიყვნენ მსხვერპლნი შეიარაღებული დაპირისპირებების, ძალადობის, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევების ან/და ბუნებრივი/ხელოვნური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, თუმცა მათ საკუთარი ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები არ გადაუკვეთავთ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგისთვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა 1998 წელს, ჟენევაში

<sup>2</sup> <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>

<sup>3</sup> <https://www.ohchr.org/Documents/Issues/IDPersons/GPGeorgian.pdf>

დააფუძნეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. ორგანიზაციის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით მაღალი ხარისხის რაოდენობრივი მაჩვენებლების, ანალიტიკური მასალისა და ექსპერტიზის დოკუმენტების შექმნით, შეამციროს პირთა იძულებით გადაადგილების სამომავლო რისკები, ასევე ამ სტატუსის მატარებელი პირებისთვის გაუმჯობესდეს საყოფაცხოვრებო პირობები.

1996 წლის 28 ივნისს, საქართველოში მიღებული იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი.<sup>4</sup> ეს კანონი არ მიჯნავდა დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილისა და დევნილის რეგისტრაციის ადგილის ცნებებს.

2006 წლის 23 თებერვალს, საქართველოში შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით წინადადებების მომზადება და შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების ორგანიზება-კოორდინაცია.

2007 წლამდე საქართველოში არ არსებობდა სახელმწიფო დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა, მათი გადაჭრის მიმართ ერთიანი მიდგომა. საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები დევნილთა პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების დროს განიცდიდნენ კოორდინაციის და პრობლემების გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის ნაკლებობას, რის გამოც ხშირად არ ხდებოდა დევნილთა ინტერესების, საჭიროებების სათანადოდ გათვალისწინება, მათი პრობლემების გრძელვადიანი და მდგრადი გადაჭრა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ადგენდა სახელმწიფოს ორ უმთავრეს მიზანს: პირობების შექმნას დევნილთა ღირსეულად, უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის და მხარდაჭერის აღმოჩენას იმ დევნილთათვის, რომლებიც სტიქიურად დაბრუნდნენ მუდმივ

---

<sup>4</sup> კანონის სათურში ცვლილება შევიდა 2011 წლის 23 დეკემბრის კანონით.

**საცხოვრებელ ადგილზე; დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერას, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას.**

ამ განკარგულების საფუძველზე 2008 წლის 30 ივლისს, საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება №489 „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ,“ რომელიც მოგვიანებით რამდენჯერმე განახლდა.<sup>5</sup>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით განსაზღვრულია იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული იყო „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი.“ აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დევნილი ოჯახის ცნებას, რომლის მიხედვითაც, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში.

---

<sup>5</sup> იხ.: საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის განკარგულება „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (სახელმწიფო სტრატეგია), საქართველოს მთავრობის განკარგულება №127, 2015 წლის 4 თებერვალი „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის განკარგულება №240, 2017 წლის 13 თებერვალი იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დევილის სამართლებრივი სტატუსი, პირისათვის დევილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლები და წესი, დევილის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარანტიები, მისი უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია 2014 წლის 6 თებერვლის საქართველოს კანონით „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევილთა შესახებ.“ კანონში პირველად გაჩნდა სათანადო საცხოვრებლის და გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ცნებები და ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უსახლკაროდ დარჩენილი დევილი უზრუნველყოს სათანადო საცხოვრებლით. აღნიშნული კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებსა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმებს.

ახალი კანონი დევილთა შესახებ, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და განსაზღვრავს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე დევილებისთვის უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას. ამ კანონით გაუქმდა დევილთა კომპაქტური და კერძო დასახლების ობიექტის ცნება და დევილი სრულად დაცულია მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლებისაგან, გამარტივდა დევილის სტატუსის მინიჭების პროცედურა და სხვა. ამჟამად მოქმედი კანონი მიჯნავს დევილის დროებითი საცხოვრებელი ადგილისა და დევილის რეგისტრაციის ადგილის ცნებებს.

2019 წლიდან, დევილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს ქვეშ არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დევილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს. სააგენტო

იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს საცხოვრებელ ფართებს გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად გადასცემს.<sup>6</sup>

### დევნილის სტატუსის მინიჭების წესი

იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.<sup>7</sup>

დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ პირი განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.<sup>8</sup> დევნილის სტატუსის მაძიებლისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, სამინისტრო გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში. სამინისტროს უარი პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის მიღებიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>9</sup>

<sup>6</sup> თითოეული დევნილი ოჯახის მიერ შევსებულ განაცხადს შესაბამისი ქულა ენიჭება. აღნიშნული ქულა სააგენტოს ვებგვერდზე ქვეყნდება. ქულათა სისტემა განსაზღვრავს რიგითობას, თუ რომელი დევნილი ოჯახი საჭიროებს საცხოვრებელი უზრუნველყოფას პირველ რიგში.

<sup>7</sup> იხ.: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-6.1 მუხლი.

<sup>8</sup> „პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის, დევნილთა რეეგრაციის და დევნილთა მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მე-6 მუხლის შესაბამისად, დევნილის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (განცხადება/წერილი/ცნობა და სხვა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ასევე მიიღება სსიპ – იუსტიციის სახლის ფილიალებში (იხ.: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.10.2018 წ. №01-16/ნ ბრძანება).

<sup>9</sup> იხ.: „იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეეგრაციის წესი“ (დანართი 1), დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 16.07.2013 წლის №287 ბრძანებით.



კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს იმ პირთა წრეს, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი და ესენი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც ნორმაში მითითებული გარემოებების გამო იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.<sup>10</sup> ამდენად, კანონმდებელმა კონკრეტულად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა.<sup>11</sup>

### **მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობა დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის**

როგორც ცნობილია, საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სკ-ის მე-20 მუხლით, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.“ ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით ზუსტად განსაზღვრულია ის სავალდებულო პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, აუცილებელია, რომ მას იძულებით, საკუთარი

<sup>10</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>11</sup> სუსგ №ბს-215-213 (კ-17) 20.07.2017.

ნების საწინააღმდეგოდ უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა.

კანონი მუდმივი ცხოვრების ფაქტს პირის რეგისტრაციას არ უკავშირებს. ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გამოირიცხავს მისი გადაადგილების თავისუფლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გულისხმობს ფაქტობრივ და არა იურიდიულ (რეგისტრირებულ) მისამართს. მუდმივ საცხოვრებელ ადგილად უნდა ჩაითვალოს ადგილი, რომელსაც პირი ირჩევს საცხოვრებლად და იგი პირის ცხოვრების საერთო მონაცემების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს მისი ფაქტობრივად უმეტესი დროით ყოფნის, ნათესაური კავშირებით, საქმიანობის და სხვა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე<sup>12</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად, პირს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად, შეუზღუდავად არჩევის უფლება. ამასთან, პირი არც იმაშია შეზღუდული, რომ ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატული უნდა იყოს აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მტკიცებულებებით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

მეორე საქმეზე<sup>13</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ

<sup>12</sup> სუსგ №ბს-215-213 (კ-17), 20.07.2017.

<sup>13</sup> სუსგ №ბს-894(კ-18), 26.10.2018, ასევე სუსგ №ბს-1896-1849(კ-10)09.06.2011.

მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გულისხმობს ფაქტობრივ და არა იურიდიულ (რეგისტრირებულ) მისამართს. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი შეიძლება დადასტურდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით. საკასაციო სასამართლომ აგრეთვე განმარტა, რომ დევნილის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების, საცხოვრებელი ადგილის ქონასთან, არამედ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პირის მიერ იძულებით დატოვებასთან.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დევნილობის დადგომის დროს მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი და მის მშობლებს არ უცხოვრიათ აფხაზეთში, არა აქვთ დევნილის სტატუსი და ცხოვრობდნენ მარტვილის რაიონში, საქართველოს სკ-ის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილისა და იმ დროს მოქმედი 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა და ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი და აფხაზეთში ბიძის ოჯახში დროებითი ცხოვრება ვერ იქნება მოაზრებული, რომ მან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დატოვა იძულებით.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 1992 წლამდე ფაქტობრივად ცხოვრობდა ბიძასთან ოჯახში ქ.

გაგრაში და მან იძულებით დატოვა აღნიშნული ტერიტორია. მოსარჩელის აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ იგი 1983 წელს შევიდა გაგრის №1 საშუალო სკოლაში, სადაც ისწავლა 7 კლასი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს იძულებით გადაადგილებულად – დევნილად აუცილებელია, რომ მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა.

### **დევნილის სტატუსის მქონე პირის მემკვიდრის უფლებამონაცვლეობა**

დევნილი ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი, ამასთანავე, ოჯახში შეიძლება შედიოდეს არადევნილი პირიც.<sup>14</sup> პირი, რომელსაც არ აქვს დევნილის სტატუსი, ვერ წარადგენს საცხოვრებელი ბინის მიღებაზე პრეტენზიას. კანონმდებელი სწორედ დევნილის სტატუსის არსებობას მიიჩნევს სავალდებულო პირობად, რომ დღის წესრიგში დადგეს პირის/ოჯახისთვის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა. ერთ-ერთ განჩინებაში<sup>15</sup> საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია, ვინაიდან დევნილის სტატუსი პირადი სტატუსია და იგი მემკვიდრეობით არ გადაიცემა.<sup>16</sup> გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილის ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა.<sup>17</sup> ამდენად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის ვალდებულება უცილობლად პირის დევნილის სტატუსს უკავშირდება და დევნილის დეფინიციიდან გამომდინარე პირადი ხასიათისაა. საკასაციო სასამართლომ სხვა

<sup>14</sup> იხ.: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 09.08.13წ. №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>15</sup> სუსგ № ბს-868 (კს-18)19.12.2019.

<sup>16</sup> იხ. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>17</sup> იმავე კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი.

გადაწყვეტილებაში<sup>18</sup> განმარტა, რომ დევნილის სტატუსი მემკვიდრეობით არ გადაეცემა, თუ პირი იმთავითვე არ იყო დევნილის სტატუსის მატარებელი სუბიექტი (ამგვარი სტატუსის შესაბამისი წესით მინიჭების მიუხედავად), მისი მშობლების ან სხვა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სტატუსი მასზე მემკვიდრეობით არ გადადის. დევნილის მემკვიდრეებზე გადადის მხოლოდ შესაბამისი ქონებრივი უფლებები.<sup>19</sup>

### **დამოუკიდებელი საცხოვრებელი ადგილის აუცილებლობა დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის**

დევნილად განიხილება უშუალოდ ის პირი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვება მოუხდა.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>20</sup> მოსარჩელეს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონია და შესაბამისი მოთხოვნა დააყენა დედის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ამ სტატუსით სარგებლობდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დევნილის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების, საცხოვრებელი ადგილის ქონასთან, არამედ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პირის მიერ იძულებით დატოვებასთან.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება დევნილი მშობლების სრულწლოვან შვილებზე, რომლებსაც საომარ მოქმედებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ შესაბამისად, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ უკანასკნელს აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტამდე და კონფლიქტის პერიოდში გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც იძულებით დატოვა საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ან უშუალოდ დაწყებამდე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტში მითითებული მიზეზებით.

<sup>18</sup> სუსგ №ბს-247-245 (კ-16), 01.11.2016.

<sup>19</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

<sup>20</sup> სუსგ №ბს-247-245 (კ-16), 01.11.2016.

## მუდმივი საცხოვრებლისა და სარეგისტრაციო ადგილის მნიშვნელობა

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის საკმარისი არაა მხოლოდ პირადობის მოწმობაში მითითებული მონაცემები, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>21</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს რეალურად სად იყო მოსარჩელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რისი განსაზღვრაც ვერ მოხდება მხოლოდ პირადობის მოწმობაში მითითებული მონაცემებით. მხოლოდ რეგისტრაციის მონაცემებში განხორციელებული ჩანაწერები ვერ გამოდგება სადავო აქტის კანონიერების მტკიცების საფუძველად. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც სულაც არ წარმოადგენდეს მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

## დევნილის რეგისტრაციის და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა.<sup>22</sup> დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი – დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს.<sup>23</sup> დევნილი ვალდებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.<sup>24</sup>

<sup>21</sup> სუსგ №ბს-139-139(კ-18) 03.05,2018, ასევე იხ. სუსგ №ბს-1227-1213 (კ-11),01.02.2012.

<sup>22</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>23</sup> აღნიშნული მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>24</sup> იმავე კანონის მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>25</sup> მოსარჩელემ ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სადავო განკარგულების მისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობა მოითხოვა იმ საფუძველზე, რომ თავისი მამისათვის გადაცემულ ბინაში მას არ უცხოვრია, მეუღლესა და არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ქირით და არც თანხმობა გაუცია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე. საკასაციო პალატამ ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადებითად გადაწყვეტილი დავა ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლობმა არ შეამოწმეს სარჩელის შესაბამისობა სასკ-ის მე-17.1 და სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნებთან და დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა ისე, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელესა და თავისი არასრულწლოვანი შვილის ოჯახისაგან ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტს.

საკასაციო პალატამ საკითხის მარეგულირებელი მთელი რიგი ნორმებით გათვალისწინებული წესების მოშველიებით სააპელაციო სასამართლოს მისცა მითითება დავაზე დაედგინა რა დროიდან უნდა სცოდნოდა მოსარჩელეს მისი უფლების დარღვევის – მისი თანხმობის გარეშე სადავო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

### **დევნილთა ჩართულობის მნიშვნელობა პრივატიზების პროცესში**

სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე პრივატიზება ნებაყოფლობით პროცესს წარმოადგენს და სახელმწიფო ვალდებულია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უზრუნველყოს დევნილთა მაქსიმალური ჩართულობა. სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ მიზნად რჩება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რის მისაღწევადაც სამოქმედო გეგმა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას ითვალისწინებს. აღნიშნული სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დევნილთა მიერ ნებაყოფლობით და ინფორმირებულ

<sup>25</sup> სუსგ. №ბს-133-131(2კ-17) 26.09.2017.

გადაწყვეტილებათა მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დევნილებთან დიალოგსა და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ამდენად, დევნილების გადაწყვეტილების ნებაყოფლობითობა და თავისუფალი არჩევანი, დიალოგი დევნილ მოსახლეობასთან და მისი თანამონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებია. ამასთან, სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები დეტალურად ყალიბდება სამოქმედო გეგმაში.

სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დევნილთა მიერ ნებაყოფლობით და ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დევნილებთან დიალოგსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათ მონაწილეობას; სამოქმედო გეგმა ობიექტური, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო, უნდა მომხდარიყო დაგეგმვის პროცესში დევნილთა ჩართულობა და მათი მხრიდან ყველა იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომლებიც მათ შეეხებოდათ, კარგად ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფა.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>26</sup> დადგენილი იყო, რომ მოსარჩელებმა არა თუ გამოხატეს საკუთარი ნება პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით, არამედ მათთვის საერთოდ არ ყოფილა ცნობილი პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. ეს იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე პრივატიზაცია ნებაყოფლობით პროცესს წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში დევნილთა მაქსიმალური ჩართულობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში არც ადმინისტრაციული ორგანოები უარყოფდნენ იმ გარემოებას, რომ მათი მხრიდან არ იყო გარკვეული მოსარჩელეთა ნება.

მეორე საქმეზე<sup>27</sup> საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოსარჩელედ მხოლოდ ერთი პირი იყო მითითებული, თუმცა გადაწყვეტილება გამოტანილი იყო 2 პირის მიმართ, სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნული არ

<sup>26</sup> სუსგ №308-304(2კ-14)30.10.2014.

<sup>27</sup> სუსგ №1213(კ-18) 20.06.2019.



შეუფასებია. საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული განკარგულება და ხელშეკრულება ზღუდავდა მოსარჩელე მხარის უფლებას, როგორც დევნილებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში მიეღოთ საცხოვრებელი ფართი. არ გარკვეულა მოსარჩელე მხარის დამოკიდებულება პრივატიზაციის პროცესის მიმართ.

### **დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმები**

გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტული საცხოვრებელი ფართის შეთავაზებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.<sup>28</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>29</sup> დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასება, თუ რამდენად ობიექტურად ეთქვა უარი მოსარჩელეს საცხოვრებელი ფართის მიღებაზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა მოსარჩელის მდგომარეობის ამსახველი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, საცხოვრებელი პირობები, მატერიალური და სოციალური მდგომარეობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის დაწყებიდან გავიდა 6 წელი, ამ პერიოდში მოსარჩელე გახდა პენსიონერი, შეიცვალა მისი სოციალური და მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ მისი მოთხოვნები დღემდე არ დაკმაყოფილებულა და ის დღეს ისევ ქირით ცხოვრობს.

<sup>28</sup> დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის მე-4.1 მუხლი.

<sup>29</sup> იხ.: სუსგ №ბს-715-707(კ-15) 14.04.2016.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეიძლება თავისი კანონმდებლობა აქციოს პირის კანონიერი უფლების შემზღუდავად, რაც გულისხმობს, რომ დევნილს მინიჭებული აქვს უფლება, მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფს მის გამოყენებას. ნორმატიულ აქტებში განსაზღვრული უნდა იყოს განაცხადის შევსებისა და ანკეტირების, ასევე ქულების მინიჭების ისეთი პროცედურა, რაც შესაძლებელს გახდის მოცემული ნორმატიული კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების მიზნის მიღწევას. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე.

### **დევნილთა გამოსახლების კანონიერება**

დევნილთა შესახლებისას, 1993-1996 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სისტემაში არც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და არც შესაბამისი სამინისტრო არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ასიათასობით დევნილი პირის მიმართ სახელმწიფოს ინდივიდუალურად გამოეცა წერილობითი ნებართვა მათი კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახლების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ექსტრემალური და საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, საკმარისი იყო სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული ზეპირი თანხმობაც. 2015 წლის 29 დეკემბერს ცვლილებები შევიდა რიგ საკანონმდებლო აქტებში, რომლებითაც გაუქმდა უძრავი ნივთების უკანონო/არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლების შესაძლებლობა სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე, კერძოდ, გაუქმდა სამოქალაქო კოდექსი 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი, აგრეთვე, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი.“

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ დავაზე<sup>30</sup> განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ორი უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ აღიარებული უფლება: საკუთრების უფლება და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა თავშესაფრის უფლება. ამდენად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენას და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი შეფასების მიცემას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნა, რომ დევნილი ოჯახი 1996 წელს განცხადება-ანკეტის მიხედვით შესახლდა ქ. თბილისში, ერთ-ერთ კორპუსში. საქმის მასალებით გამოირკვა, რომ დევნილთა სარეგისტრაციო ბაზებში კონკრეტულად არ იყო მითითებული ოჯახის მიერ დაკავებული ბინის ნომერი, ასევე არ არსებობდა სადავო ბინაში მათი შესვლის წერილობითი ნებართვა. პალატამ განმარტა, რომ დევნილთა შესახლებისას, 1993-1996 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სისტემაში არც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და არც შესაბამისი სამინისტრო არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ასიათასობით დევნილი პირის მიმართ სახელმწიფოს ინდივიდუალურად გამოეცა წერილობითი ნებართვა მათი კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახლების თაობაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ექსტრემალური და საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, საკმარისი იყო სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული ზეპირი თანხმობაც.<sup>31</sup> ვინაიდან მთელ კორპუსს მინიჭებული ჰქონდა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების სტატუსი და არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, კონკრეტულად რომელ ბინაში იყვნენ შესახლებული დევნილები. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დევნილთა გამოსახლება

<sup>30</sup> სუსგ №610-603(კ-15)11.02.2016.

<sup>31</sup> მსგავსი განმარტება გაკეთდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებაში (საქმეზე ს. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ), სადაც აღინიშნა, რომ ასიათასობით ადამიანის დევნილად ქცევის პირობებში შეუძლებელი იყო ყველა ფორმალობის დაცვა ბინების გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, საერთაშორისო სამართალში აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამო იძულებით გადაადგილებულ პირებს სახელმწიფო უზრუნველყოფდა ინდივიდუალური ან კოლექტიური რეგისტრაციით, საცხოვრებლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით ზედმეტი ფორმალობის გარეშე, მინიმალური და მარტივი პროცედურებით, წერილობითი საბუთებით ან მათ გარეშე.

ვერ მოხდებოდა მათ მიმართ კანონით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე. საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ სადავო ბინაში დევნილი ოჯახი შესახლდა სამინისტროს მიერ, რაზეც გამოხატული იყო თანხმობა.

საკასაციო პალატის განმარტებით, იმ პირობებში როდესაც სადავო უძრავ ქონებაში დევნილთა განსახლება 1996 წელს განხორციელდა და სადავო უძრავ ქონებას დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტის სტატუსი აქვს მინიჭებული, აღნიშნული ობიექტიდან დევნილთა გამოსახლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა) დევნილთა იღება წერილობითი შეთანხმება, ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპეტენციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებულ ვითარებაში (იმ პირობებში, როდესაც დევნილები უზრუნველყოფილნი არ იყვნენ შესაბამისი საცხოვრებელი ფართით ან სათანადო კომპენსაციით) მოსარჩელის კერძო საკუთრებიდან დევნილთა გამოსახლება შეუძლებელი იყო, მაგრამ აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ ყოვლად დაუშვებელია მესაკუთრისათვის მუდმივად მიუწვდომელი და შეუძლებელი იყოს საკუთრებით სათანადოდ სარგებლობა. ერთი უფლების დაცვამ არ შეიძლება გამოიწვიოს მეორე უფლების მუდმივი, თუნდაც დასაბუთებული ხელყოფა. ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკისრებათ ვალდებულება შექმნან შესაბამისი პირობები, რათა დაუსრულებელი ხასიათი არ ჰქონდეს მესაკუთრის მიერ საკუთრებით სარგებლობის შეუძლებლობას და შესაბამისად, საყოველთაოდ აღიარებული საკუთრების უფლების დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა დაიშვება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის

შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ამგვარი კომპეტენცია აღარ გააჩნიათ. ამდენად, მესაკუთრეს შეუძლია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა მოითხოვოს სასამართლოსათვის მიმართვით, შესაბამისი სამოქალაქო სამართალწარმოების გზით.

### **ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების სუბიექტი**

დევნილი ოჯახები, რომლებსაც სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის მიერ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართი ან/და საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია, ჩაითვლებიან როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ფარგლებში დაკმაყოფილებულად და მათი საცხოვრებელი ფართით ხელახლა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფოს მიერ არ განიხილება.<sup>32</sup>

სახელმწიფოს ძირითადი რესურსი, რომელსაც იგი იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გამოუყოფს, მიმართულია უსახლკაროდ დარჩენილი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე. ამდენად, ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების სუბიექტს წარმოადგენს დევნილი ოჯახი და არა თითოეული დევნილი ცალ-ცალკე, რის გამოც ერთხელ უკვე დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახის ფულადი კომპენსაციით განმეორებით უზრუნველყოფა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

აღსანიშნავია დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი დავაში,<sup>33</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით განაცხადის შევსების შესაძლებლობის მინიჭებაზე, ვინაიდან მისი ოჯახის წევრს უკვე მიღებული ჰქონდა კომპენსაცია. პალატამ აღნიშნა, რომ ერთჯერადად მიღებული

<sup>32</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის №240 განკარგულების 2.1.10 პუნქტი.

<sup>33</sup> სუსგ №ბს-681-681(კ-18), 13.12.2018.

ფულადი თანხა ეკუთვნოდა ოჯახს, რომლის შემადგენლობაში ირიცხებოდა მოსარჩელეც. კანონმდებლობა დევნილ ოჯახში მოიაზრებს განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრეს, შესაბამისად, მოსარჩელე ვერ მიიჩნეოდა ცალკე ოჯახად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ცალკე ოჯახად არსებობის ფაქტი და განმარტა, რომ მოსარჩელეს, შესაძლებელია მოთხოვნა ჰქონოდა საკომპენსაციო თანხიდან მის კუთვნილ წილზე, იმ პირის მიმართ, რომელმაც მიიღო ფულადი დახმარება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით განსახილველ საკითხს და დავა ექვემდებარება სამოქალაქო წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას.

ანალოგიურ საკითხს ეხებოდა სხვა საქმეც,<sup>34</sup> რომელშიც მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ის გამოსახლებული იქნა სასტუმროდან ისე, რომ არ მიუღია მისი საცხოვრებელი ოთახის გამოთავისუფლების სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაცია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნილ ოჯახში კანონმდებლობა მოიაზრებს განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრეს, შესაბამისად, მოსარჩელე, რომელიც ცხოვრობდა სასტუმროში, ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ცალკე ოჯახი.

### **ხელმეორედ დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმე,<sup>35</sup> სადაც მოსარჩელეს უკვე მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი 90-იანი წლების მოვლენებიდან გამომდინარე და მასზე გაცემული იყო დევნილის მოწმობა. პალატამ აღნიშნა, რომ ხელმეორედ დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა, ახალი ფაქტობრივი მდგომარეობის წარმოშობით პირის დევნილად არსებობა უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი მდგომარეობის აღიარებამდე, ბუნებრივია, არ გამოირიცხება და აღნიშნული დამოკიდებული არ არის მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურის გავლასთან. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პირს შეიძლება მინიჭებული

<sup>34</sup> სუსგ №1067(კ-18)29.01.2019.

<sup>35</sup> სუსგ №ბს-778-774(კ-17) 12.12.2017.

ჰქონდეს დევნილის სტატუსი ერთხელ დამდგარი ფაქტობრივი გარემოების (საომარი მდგომარეობის) შედეგად, არ გამოირიცხება, რომ სამომავლოდ, სხვა ფაქტობრივი გარემოებიდან – სხვა დროს წარმოშობილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, განმეორებით შეიქმნას მისი დევნილად არსებობის ფაქტის დადასტურების აუცილებლობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ასეთ შემთხვევაში უნდა მიენიჭოს მონაცემთა ბაზაში სათანადო ცვლილების ასახვას (რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ახალი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, პირისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, სათანადო უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება) და არა იმ საკითხის დადგენას – უნდა გაიაროს თუ არა პირმა ხელახალი პროცედურა დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის იმ პირობებში, როდესაც მას უკვე მინიჭებული ჰქონდა სტატუსი წარსულში მისი დევნილობის ფაქტის დადასტურებიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დევნილის სტატუსის მინიჭებისა და მოწმობის გაცემის ახალი პროცედურის გავლის გარეშე უნდა იქნას უზრუნველყოფილი მოსარჩელეს, უკვე როგორც 2008 წლის მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირის დარეგისტრირება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში და შესაბამისად, ასევე მოხდეს მისი დარეგისტრირება დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით საცხოვრებელი სახლით დასაკმაყოფილებელ პირთა ერთიან ბაზაში.

### **დევნილის სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი**

პირს დევნილის სტატუსი შეუწყდება,<sup>36</sup> თუ:

- ა) მას პირადი განცხადების საფუძველზე მოეხსნა დევნილის სტატუსი;
- ბ) მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აღმოიფხვრა ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზი;
- გ) მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- დ) მან, როგორც საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა, მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

<sup>36</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10.1 მუხლი.

- ე) სასამართლომ იგი აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- ვ) ამ კანონის საფუძველზე სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადაში მან არ გაიარა დევნილთა რეგისტრაცია;
- ზ) იგი გარდაიცვალა.

გარდა ამისა, პირს დევნილის სტატუსი ჩამოერთმევა, თუ მან ეს სტატუსი ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო.<sup>37</sup>

შესწავლილ მასალაში არ მოიპოვება შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ გამოვლინდა დევნილის სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი.

ერთ-ერთ დავაზე<sup>38</sup> საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ვერ დგინდება დევნილის სტატუსის ჩამორთმევის საფუძვლის არსებობა, ამ სტატუსის ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიღების გამო, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, ასევე მოწმეთა ჩვენებებით უტყუარად ვერ დასტურდება მოსარჩელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაქტობრივად არცხოვრების ფაქტი.

სხვა საქმეზე<sup>39</sup> არ იყო წარმოდგენილი მოსარჩელის ქ. სოხუმში ცხოვრების გამოძრის ხაზი და სადავო პერიოდში სხვა ადგილზე მუდმივად ცხოვრების ფაქტის ამსახველი შესაბამისი მტკიცებულებები, ისე ჩამოერთვა მოსარჩელეს დევნილის სტატუსი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო აქტით მოსარჩელისათვის დევნილის სტატუსის ჩამორთმევა განხორციელდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით ამ ნორმით გათვალისწინებული საფუძვლის დაუდასტურებლობის პირობებში, რის გამოც შესაბამისი ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ მოსარჩელემ წარადგინა ყალბი დოკუმენტი ან/და ცრუ ინფორმაცია

<sup>37</sup> კანონის მე-10.3 მუხლი.

<sup>38</sup> სუსგ №215-213(კ-17)20.07.2017.

<sup>39</sup> სუსგ №ბს-244-244(კ-18)05.06.2018.



დევნილის სტატუსის მოპოვებისას, რაც გამორიცხავდა სტატუსის ჩამორთმევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერად მიჩნევის შესაძლებლობას.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელეს დევნილის სტატუსი არამართლზომიერად შეუწყდა. ამდენად, უკანონოდ შეუწყდა მას დევნილის შემწეობა, რაც განაპირობებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, აანაზღაუროს უკანონო აქტების გამოცემით მოსარჩელისათვის მიუღებელი შემწეობის სახით მიყენებული ზიანი, სტატუსის შეწყვეტიდან აღდგენამდე პერიოდისათვის.

## დასკვნა

კანონმდებელმა კონკრეტულად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას და საქმიანობას ეწევა.

ამდენად, დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და ამ ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენას.

ზოგადად, საცხოვრებელი ადგილი პირის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. საცხოვრებელ ადგილზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. ამასთან, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი – დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ

საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება იმ მიზეზის გამო, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას.<sup>40</sup>

ამდენად, დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და ამ ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენას.

აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ფაქტი არ ადასტურებს პირის ამ საკუთრებაში მუდმივად ცხოვრების ფაქტს, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას/საფუძველს წარმოადგენს პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის.

მცირე პერიოდებით სხვაგან სტუმრად წასვლა არ გამორიცხავს კონკრეტულ მისამართზე ცხოვრებას ან/და ერთ-ერთი მშობლის სახელზე არსებული საკუთრება ავტომატურად არ გულისხმობს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის ოჯახს გააჩნია სხვაგან საცხოვრებელი.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით

---

<sup>40</sup> იხ.: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-6.1 მუხლი.

ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ირჩევს ძირითად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელია. მუდმივი საცხოვრებლის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი იქ არა ღროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს.

კანონი მუდმივი ცხოვრების ფაქტს პირის რეგისტრაციას არ უკავშირებს. ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გამოორიცხავს მისი გადაადგილების თავისუფლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გულისხმობს ფაქტობრივ და არა იურიდიულ (რეგისტრირებულ) მისამართს, შესაბამისად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის საკმარისი არაა მხოლოდ პირადობის მოწმობაში მითითებული მონაცემები.

მუდმივ საცხოვრებელ ადგილად უნდა ჩაითვალოს ადგილი, რომელსაც პირი ირჩევს საცხოვრებლად და იგი პირის ცხოვრების საერთო მონაცემების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს მისი ფაქტობრივად უმეტესი დროით ყოფნის, ნათესაური კავშირებით, საქმიანობის და სხვა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად.

ამდენად, თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის და ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას კომპაქტურად განსახლების ყოფილ ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს. პრივატიზაციის პროცესში წლების განმავლობაში, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს დევნილთა არაინფორმირებულობა.

სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე პრივატიზება ნებაყოფლობით პროცესს წარმოადგენს და სახელმწიფოს ვალდებულია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უზრუნველყოს დევნილთა მაქსიმალური ჩართულობა.

დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად. სამინისტრო სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფისას არეგისტრირებს დევნილს განსახლების ადგილზე.

დევნილს უფლება აქვს ისარგებლოს სათანადო საცხოვრებლით საქართველოს ფარგლებში, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გრძელვადიანი საცხოვრებლით არის უზრუნველყოფილი.

იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში და იმყოფება ფულადი კომპენსაციით დასაკმაყოფილებელ პირთა სიაში, ის არ შეიძლება გაიგივებულ იყოს იმ პირებთან, რომელთაც აქტის მოქმედების პირობებში არ ჰქონდათ მოპოვებული უფლება ან უფლება მოიპოვეს კანონდარღვევით.

საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების საფუძველია პირის დამოუკიდებელ ოჯახად ცნობის განსაზღვრა კომპენსაციის დანიშვნის დროს. ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების სუბიექტს წარმოადგენს დევნილი

ოჯახი და არა თითოეული დევნილი ცალ-ცალკე, რის გამოც ერთხელ უკვე დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახის ფულადი კომპენსაციით განმეორებით უზრუნველყოფა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.